პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

16 ივლისი ოთხშაბათი 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი • № 163 (14463)

ლენინურ პრემიის ვარსკვლავი

გარდამავალი დროშა ავტოტრანსპორტელებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი. („კომუნისტის“ კორ.). ხუთწლედის მეოთხე წელს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებებს აღწევს № 3 ავტოსატრანსპორტო კანტორის (უფროსი ა. კოკლამაზაშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი ო. კენჭაძე) კოლექტივი. წელს ავტოტრანსპორტელებმა ვალდებულება იკისრეს გაანაღონ შეჯიბრება საწვავი მასალისა და სათადარიგო ნაწილების მომჭირნეობით ხარჯვისათვის. მათ მარტო პირველ კვარტალში 4.539 ლიტრი საწვავი მასალა დაზოგეს, თვითეულ გარბენილ ათ ტონაკილომეტრზე გაწეულ იქნა 1,11 კაპიკი ეკონომია, რაც ავტომეურნეობას 4.705 მანეთი ეკონომია მისცა.

ავტომეურნეობა, რომელიც ორი წელია დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემით მუშაობს, თვალსაჩინო წარმატებებს აღწევს.

ამ დღეებში პირველ კვარტალში მოპოვებული წარმატებებისათვის კანტორის კოლექტივს საზეიმო ვითარებაში გადაეცა საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს და ამავე სამინისტროსა და გზატაკცილების მუშაკთა პროფკავშირების გარდამავალი წითელი დროშა.

კანონიერება და ჰუმანიურობა

ИЗВЕСТИЯ

15 ივლისის მოწინავე

ახლახან დამთავრებულ სესიაზე სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძვლები“ — დოკუმენტი, რომელიც მოწოდებულია აწესრიგებდეს ჩვენი საზოგადოების ცხოვრების განსაკუთრებულ, მეტად ვიწრო, მაგრამ ამავე დროს მეტად არამარტივ სფეროს, ახდენდეს სახელმწიფოს ისეთი განსაკუთრებული ინსტიტუტის საქმიანობის რეგლამენტირებას, როგორიც შრომა-გასწორების დაწესებულებებია.

სოციალიზმი და კომუნიზმი ისეთი საზოგადოებრივი ფორმაციებია, რომლებიც თვით თავისი ბუნებით, მათთვის დამახასიათებელი და მათ მიერ შემუშავებული სოციალური ურთიერთობის აზრით არა ქმნიან ნიადაგს დანაშაულის წარმოშობა-განვითარებისათვის. ჩვენს ქვეყანაში არ არის დანაშაული, რომელიც ჩადენილი იყოს იმიტომ, რომ ჯანმრთელ ადამიანს არ შეუძლია არჩინოს საკუთარი თავი და თავისი ოჯახი. სოციალისტურ საზოგადოებაში არ არის სოციალური უთანასწორობა, უმუშევრობა, სიღატაკე — დანაშაულის ეს მარადიული მიზეზები.

მაგრამ დანაშაულობა ჩვენში მაინც არ არის აღმოფხვრილი. იგი არსებობს. ამ ფაქტს არ გვინდა შევურიგდეთ, მაგრამ მას არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ. იმათთან ბრძოლა, ვინც არღვევს ჩვენს კანონებს, იმ ადამიანთა აღზრდა-გარდაქმნა, ვინც ლახავს ამ კანონებს — კანონებს, რომლებიც გამოხატავენ შრომელი მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის ინტერესებსა და ნებას, — ჩვენ ჯერ არ შეგვიძლია ვაწარმოოთ სოციალური დაცვის ისეთ განსაკუთრებულ ღონისძიებათა გამოუყენებლად, რომელიც არის თავისუფლების აღკვეთა და უფლებათა სხვა შეზღუდვები“. „ყოველი სისუსტე, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — ყოველი მერყეობა, ყოველი სენტიმენტალობა ამ მხრივ უდიდესი დანაშაული იქნებოდა სოციალიზმის წინაშე“.

სჯის რა იმათ, ვინც უგულებელყო ის, რაც საზოგადოების მიერ აკრძალულია, ვინც ანგარიში არ გაუწია საზოგადოებრივი ზემოქმედების არაგეთარ ღონისძიებებს, საბჭოთა სახელმწიფო უწინარეს „ყოვლისა ცდილობს გამოასწოროს ადამიანი, დაუბრუნოს იგი პატიოსან ცხოვრებას და მის სიკეთეებს. ერთი ნებისმიერი ფორმულით რომ გამოვხატოთ უმაღლესი საბჭოს მიერ ახლახან მიღებული. საფუძვლების აზრი, შეიძლება ასეთი სიტყვებით მივმართოთ დანაშაულს: „შენ ძალიან დანაშავე ხარ, მაგრამ როდი გაგაძევებენ, კანონს გარეშე როდი დაგაყენებ. მსოლოდ შენზე, შენს გონებასა და ნებაზეა დამოკიდებული დაუბრუნდი ოჯახს, მეგობართა და მახლობელთა წრეს, პატიოსან ადამიანთა საზოგადოებას, ნორმალურ და ნათელ ცხოვრებას“. და ამაშია შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძვლების უდიდესი ჰუმანიზმი.

გამოუსწორებელი ადამიანები არ არიან — ამ ჭეშმარიტებიდან, ჰუმანურად გაგებული ამ ბუნებრივი კანონიდან გამომდინარეობს კანონი, რომელიც წარმართავს შრომა-გასწორების პოლიტიკას ჩვენს ქვეყანაში. აყენებს რა ჩვენს ქვეყანაში დანაშაულების აღმოფხვრის ამოცანას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა ქვეკუთხედად სახავს სამართალდარღვევათა პროფილაქტიკას, აღმზრდელობითის მუშაობას. აქედან გამომდინარეობს ახალი კანონმდებლობის საფუძვლები, იძულებისა და დარწმუნების, კანონის მოთხოვნებისა და პედაგოგიკის პრინციპების, შრომისა და სწავლების შეხამება — აი დანაშაულის გამოსწორების ძირითადი მეთოდები. კანონიერება და ჰუმანიზმი, სიმტკიცე, სიმკაცრე, მაგრამ ამავე დროს ადამიანური მიდგომა გადამცდარი ადამიანისადმი, თვით ძალიან დანაშავე ადამიანებისადმი. არა დამცირება, არა ფიზიკური ტანჯვის მიყენება, არამედ მხოლოდ და მხოლოდ გამოსწორებისათვის ხელმეწყობა — ჩვენს სახელმწიფოში აბას ემსახურება სისხლის სამართლის წესით დასჯა.

მიღებული კანონმდებლობის ჰუმანისტური არსი სხვაშიც მდგომარეობს. მისი მიზანია სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის შემდგომი განმტკიცება. ყველა მშრომელთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა, დამნაშავეობის წარმოშობი მიზეზების აღმოფხვრა. ამ აზრით მიღებული კანონმდებლობის მოქმედების ერთი შეხედვით ვიწრო სფერო განუზომლად ფართოვდება. ასე თუ ისე ეხება ყველა მოქალაქეთა, მთელი ჩვენი საზოგადოების ინტერესებს. მართლწესრიგის განმტკიცება ხომ ყოველთვის ჰუმანური აქტია, რომელიც სოციალიზმის პირობებში მოსახლეობის ყველა ფენის ინტერესებს შეეხებამება.

მიღებული კანონმდებლობის პარაგრაფებსა და მუხლებს წითელ ზოლად გასდევს საბჭოთა ადამიანების კონსტიტუციურ უფლებათა ურყევობის იდეა. მასში ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნულია სოციალისტური მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპი — სხვანაირად, თუ არა სასამართლოს განაჩენით, არავინ არ შეიძლება ცნობილ იქნას დამნაშავედ.

უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები პრაქტიკული ხორციშესხმაა ჩვენი პარტიის პროგრამის დებულებებისა, სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებისა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის და საბჭოთა მთავრობის დადგენილებებისა. დანაშაულობასთან ბრძოლის დარგში. ეს აქტები, რომლებიც ჰუმანურია თავიანთი აზრით, ახალი ნაბიჯი გახდებიან მართლწესრიგის განმტკიცებაში. ისინი ასახავენ ვ. ი. ლენინის მიერ გამოთქმულ აზრს: „...ნებისყოფა, თუ იგი სახელმწიფოებრივია, გამოხატული უნდა იყოს როგორც ხელშეკრულების მიერ დადგენილი კანონი; სხვანაირად სიტყვა „ნებისყოფა“ აზერის ფუჭი შერხევა, ფუჭი ბგერთი“.

კანონი მკაცრია, მაგრამ იგი კანონია. ამბობდნენ ძველათ. ჩვენი კანონები მკაცრი, მაგრამ ჰუმანურია. არავის არა აქვს უფლება დაარღვიოს დადგინებანი სოციალისტური სახელმწიფოსი, რომელიც გამოხატავს მთელი მოსახლეობის ნებას. ჩვენი კანონების ჰუმანურობა ყოველისმომტევებლობა კი არ არის, არამედ სამართლიანობა, გონივრულობა და სიმტკიცეა. სწორედ ამ თვისებებით ხასიათდება ის სახელმწიფოებრივი აქტებიც, რომლებსაც ეს არის ახლა მიენიჭათ საერთოსაკავშირო კანონების ძალა.

კანონი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა

წინასწარი პატიმრობის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

მუხლი 1. დამტკიცდეს დებულება წინასწარი პატიმრობის შესახებ და შეიდეს ძალაში 1969 წლის 1 ნოემბრიდან.

მუხლი 2. დაევალოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაადგინოს წინასწარი პატიმრობის შესახებ დებულების სამოქმედოდ შემოღების წესი და შეუსაბამოს სსრ კავშირის კანონმდებლობა ამ დებულებას.

მუხლი 3. დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლეს საბჭოებს მოკავშირე რესპუბლიკათა კანონმდებლობა შეუსაბამონ დებულებას წინასწარი პატიმრობის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1969 წლის 11 ივლისი.

ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო ალი საბრი

მინდინარე წლის 14 ივლისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის არაბთა სოციალისტური კავშირის უმაღლესი აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ალი საბრი, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით.

საუბარში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი.

არაბეთის მხრივ საუბარს ესწრებოდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში მ. ალები.

შეხვედრის დროს მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, იმპერიალიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების ერთიანობის საკითხებზე, აგრეთვე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის არაბთა სოციალისტური კავშირის ურთიერთობის ვანვითარების საკითხებზე.

ლ. ი. ბრეჟნევმა არაბ მეგობრებს გააცნო კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის შედეგები. ალი საბრმა აღნიშნა, რომ არაბთა სოციალისტურმა კავშირმა და ეგვიპტელმა ხალხმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს ამ ისტორიული თათბირისადმი, რაც აისახა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის გამალ აბდელ ნასერის მისასალმებელ წერილში თათბირის მონაწილეებისადმი. ეგვიპტის პრესა ფართოდ აქვეყნებს თათბირის მასალებს. არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ თათბირის განცხადებას იმის შესახებ, რომ მთელი მოფლიოს კომუნისტები სოლიდარული არიან ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ არაბ ხალხთა სამართლიან ბრძოლასთან.

მხარეებმა განიხილეს მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში, განსაკუთრებით ისრაელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული საკითხები. დადასტურდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის არაბთა სოციალისტური კავშირის მტკიცე გადაწყვეტილება იბრძოლონ უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუციის სრული განხორციელებისათვის, რომლითაც გათვალისწინებულია ისრაელის ჯარების გაყვანა ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან.

ლ. ი. ბრეჟნევმა გაუზიარა არაბთა სოციალისტური კავშირის ხელმძღვანელობის წარმომადგენელს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმიანობის გამოცდილება, ესაუბრა საბჭოთა ხალხის ცხოვრებაზე.

ალი საბრმა ილაპარაკა არაბთა სოციალისტური კავშირის შექმნასა და განვითარებაზე, არაბთა სოციალისტური კავშირის საქმიანობაზე, რომლის მიზანია დარაზმოს ხალხის მასები დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესის გზით არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის შემდგომი განვითარებისათვის, ისრაელის აგრესიის შედეგების დაძლევისათვის.

საუბრის დროს, რომელმაც გულახდილ მეგობრულ ატმოსფერონი ჩაიარა, აღინიშნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და არაბთა სოციალისტური კავშირის საერთო მისწრაფება განავითარონ კონტაქტები და ურთიერთობა, რომლებიც მიაჩნიათ საბჭოთა კავშირსა არაბეთის მეგობრობის განმტკიცების, ანტიიმპერიალისტური ძალების შემდგომი შეკავშირების დიდმნიშვნელოვან ფაქტორად. (საკდესი).

ბილისა და ბოსტნეულის კონსერვები, მურაბები და ლაგოდეხის საკონსერვო ქარხნის სხვა პროდუქცია ფართოდ ცნობილია არამარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

მინდინარე წელს ქარხანა პირველად გამოუშვებს კაკლის მურაბას.

სურათზე: მოწინავე მუშა **ნუნუ ხარატიშვილი.**

ფოტო **რ. კაპარაპასი.** (საქდესის ფოტოქრონიკა).

ბალს კრეფენ გარდაბნის რაიონის ვარკეთილის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში. აქ 400 ჰექტარი უკავია ხეხილის ბაღებს. თბილისის მშრომელებს მომდინარე წელს 1.000 ტონა ხილს მიაწვდიან. **სურათზე:** ბალს კრეფს დოდო ფოფქიაური.

ფოტო **ი. დავითაშვილისა** და **ს. თევზაძისა.** (საქდესის ფოტოქრონიკა).

კრემლის დიდ სასახლეში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და საბჭოთა მთავრობამ 14 ივლისს კრემლის დიდ სასახლეში საუზმე გამართეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად.

საუზმეზე იყვნენ დელეგაციის წევრები: გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. შტოფი — დელეგაციის მეთაური, ვერნანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ე. ხონეკერი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. მიტაგი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის თავმჯდომარე, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარე გ. გეტინგი და სხვები.

საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. პელშე, ი. ვ. ანდროპოვი, ვ. ვ. გრიშინი, დ. თ. უსტინოვი, კ. თ. კატუშევი, თ. დ. კულაკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი და სხვა ოფიციალური პირები.

სტუმრებს მიესალმა ა. ნ. კოსიგინი, რომელმაც მოკლე სიტყვაში აღნიშნა, რომ წარმატებით დამთავრდა მოლაპარაკება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციასთან როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიურ საკითხებზე. ჩვენ მოლაპარაკებას ვაწარმოებდით, თქვა მან, როგორც თანამოაზრენი ბრძოლაში, როგორც მეგობრები. ორივე მხარისთვის მთავარი და განმსაზღვრელი იყო ერთიანობის, ერთმანეთის დახმარების, ერთობლივი წინსვლის მოსაზრებანი.

საპასუხო სიტყვაში ვ. შტოფმა განაცხადა, რომ პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ვიზიტი სსრ კავშირში ახალი ნიშანსვეტი იქნება ორ ქვეყანას შორის ძმური უოლეკვი მეგობრობის ისტორიაში. ვ. შტოფმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოლაპარაკება და საუბრები როგორც ორმხრივი ურთიერთობის საკითხებზე, ისე საერთაშორისო საკითხებზე წარმატებითი და ნაყოფიერი იყო, მიმდინარეობდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და სრული ერთსულოვნების ვითარებაში, კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის გადაწყვეტილებათა სულისკვეთებით.

საუზმემ ძმური, გულითად ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

კომკავშირის ცკ-ის პლენუმი

მოსკოვი, 15 ივლისი. (საკდესი). დღეს დედაქალაქში მუშაობა დაიწყო სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მე-7 პლენუმმა. დღის წესრიგშია ორი საკითხი: კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის შედეგები; კომკავშირული ორგანიზაციების მზადება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის.

პლენუმი გახსნა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ვ. ტიაჟელნიკოვმა.

მოხსენება კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის შედეგების შესახებ გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ა. სუსლოვმა.

სწავლობენ საბჭოთა კადრები

15 ივლისს თბილისში დამთავრდა ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა კადრების გადამზადების მუდმივმოქმედი კურსების მსმენელთა მორიგი ნაკადის მეცადინეობა.

ერთთვიანი კურსები გაიარეს მშრომელთან დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების მდივნებმა.

მეცადინეობის დროს კურსების მსმენელებმა მოისმინეს ლექციები და მოხსენებანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიისა და პოლიტიკის, მეცნიერული კომუნიზმის საფუძვლების, წარმოების ეკონომიკისა და ორგანიზაციის ძირითად პრობლემებზე.

მსმენელებმა ინახულეს ქალაქის ბაზრები, ბიბლიოთეკა, ბავშვთა ბაღი, ეწვივნენ ბ. ბ. ბაქრაძის, ბ. ბ. ბაბალიანის, ბ. ბ. ბაბალიანის, ბ. ბ. ბაბალიან

კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებში დამატებათა და ცვლილებათა შეტანის შესახებ

სისხლის სამართლის კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის მიზნით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

მუხლი 1. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის 1958 წლის 25 დეკემბრის საფუძვლის (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1959 წ., № 1, მუხ. 6) დამატოს შემდეგი შინაარსის 23¹-ე, 44¹-ე მუხლები.

„მუხლი 23¹. განსაკუთრებით საშიში რეციდივისტი

განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად სასამართლოს განაჩენით შეიძლება ცნობილ იქნეს:

1) პირი, რომელიც წინათ მსჯავრდებული იყო თავისუფლების აღკვეთით განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის; მანდატიზმისათვის; ყაჩაღი ფულის ან ფასიანი ქაღალდების დამზადებისა და გასაღებისათვის დაძამძიმებელ გარემოებებში; საგალუტო ოპერაციების წესების დარღვევისათვის დაძამძიმებულ გარემოებებში; განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფოს ან საზოგადოებრივი ქონების გატაცებისათვის; სახელმწიფოს, საზოგადოებრივი ან მოქალაქეთა პირადი ქონების დაუფლების მიზნით გაძარცვისათვის დაძამძიმებულ გარემოებებში; განზრახ მკვლელობისათვის დაძამძიმებულ გარემოებებში; გაუპატიურებისათვის, ჩადენილი ჯგუფის მიერ, ან რომელსაც განსაკუთრებით მძიმე შედეგები მოჰყვა, აგრეთვე არასრულწლოვანის გაუპატიურებისათვის; ქრთამის აღების, მიცემის ან მექრთამეობაში შუამავლობისათვის დაძამძიმებულ გარემოებებში; მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფისათვის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისას მათ სამსახურებრივ ან საზოგადოებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით ჩამაძამძიმებელ გარემოებებში; განსაკუთრებით ბოროტი ხულიგნობისათვის; ცეცხლსასროლი იარაღის საბრძოლო მასალების ან ფეთქებადი ნივთიერების გატაცებისათვის ყაჩაღური თავდასხმის დროს.

მუხლი 2. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 23, 44 და 45 მუხლებში შეტანილ იქნეს ცვლილებანი და დამატებანი და ისინი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 23. თავისუფლების აღკვეთა.

თავისუფლების აღკვეთა დაწესებულია ვადით არაუმეტეს ათი წლისა, ხოლო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის და განსაკუთრებით საშიში რეციდივისტებისათვის, იმ შემთხვევებში, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით, — არაუმეტეს თხუთმეტი წლისა.

იმ პირისათვის სასჯელის დანიშვნის დროს, რომელსაც დანაშაულის ჩადენამდე არ შესრულებია თვრამეტი წელი, თავისუფლების აღკვეთის ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს ათ წელს.

სასამართლოს განაჩენით თავისუფლების აღკვეთის მოხდა წარმოდეს საერთო, გაძლიერებული, მკაცრი და განსაკუთრებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიებში ან საპყრობილეში, აგრეთვე საერთო და გაძლიერებული რეჟიმის შრომა-აღმზრდელობით კოლონიებში.

შრომა-გასწორების კოლონიაში თავისუფლების აღკვეთის სასჯელის მოხდა დაენიშნებათ მამაკაცებს:

რომლებიც პირველად არიან მსჯავრდებული თავისუფლების აღკვეთით, არამძიმე დანაშაულისათვის — საერთო რეჟიმის კოლონიებში;

რომლებიც პირველად არიან მსჯავრდებული თავისუფლების აღკვეთით მძიმე დანაშაულისათვის სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში — გაძლიერებული რეჟიმის კოლონიებში;

რომლებიც მსჯავრდებული არიან განსაკუთრებით სამშიშ სახელმწიფო დანაშაულისათვის ან წინათ მოიხადეს სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით — მკაცრი რეჟიმის კოლონიებში;

რომლებიც აღიარებული არიან განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად — განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიებში.

ქალებს, რომლებიც მსჯავრდებული არიან თავისუფლების აღკვეთით, სასჯელის მოხდა შრომა-გასწორების კოლონიებში დანიშნებათ: განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად აღიარებულებს, აგრეთვე მსჯავრდებულებს განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის — მკაცრი რეჟიმის კოლონიებში. თავისუფლების აღკვეთით სხვა მსჯავრდებულ ქალებს — საერთო რეჟიმის კოლონიებში;

სასჯელის მოხდა შრომა-აღმზრდელობით კოლონიებში დაენიშნებათ:

მამრობითი სქესის არასრულწლოვანებს, რომლებსაც პირველად ედებათ მსჯავრი თავისუფლების აღკვეთით არამძიმე დანაშაულისათვის, აგრეთვე მდედრობითი სქესის არასრულწლოვანებს — საერთო რეჟიმის კოლონიაში;

მამრობითი სქესის არასრულწლოვანებს, რომლებსაც წინათ მოიხადეს სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით, აგრეთვე იმათ, რომლებსაც ედებათ მსჯავრი თავისუფლების აღკვეთის სახით, მძიმე დანაშაულისათვის, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში — გაძლიერებული რეჟიმის კოლონიებში.

ჩადენილი დანაშაულის ხასიათის და საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის, დანაშაულის პიროვნებისა და საქმის სხვა გარემოებების გათვალისწინებით სასამართლოს მიღებული გადაწყვეტილების მოტივირებული ნაწილი, — ეს ნაწილი, — ეს ნაწილი, — ეს

დებულება წინასწარი პატიმრობის შესახებ

(დასასრული)

ადგილობრივ - საოფისე-ცხოვრებო უზრუნველყოფა. საკუთრ შემთხვევებში მათ ეძლევათ დადგენილი ნორმების ტანსაცმელი და ფეხსაცმელი.

სამედიცინო მომსახურება, ავრეთვე სამკურნალო-პროფილაქტიკური და ეპიდემიის საწინააღმდეგო მუშაობა წინასწარი პატიმრობის ადგილებში ეწყობა და ხორციელდება ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად.

დაპატიმრებულთათვის სამედიცინო დახმარების გაწევის, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების სამკურნალო დაწესებულებათა გამოყენებისა და ამ მიზნით მათი სამედიცინო პერსონალის მოწვევის წესს განსაზღვრავენ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.

მუხლი 12. დაპატიმრებულთა ნახვის წესი

ნათესავებისა თუ სხვა პირების ნახვის უფლება დაპატიმრებულთ შეუძლია მხოლოდ წინასწარი პატიმრობის ადგილის ადმინისტრაციამ მხოლოდ იმ პირის ან ორგანოს ნებართვით, რომლის ხელთაა საქმის წარმოება. ნახვის ხანგრძლივობას ადგენენ ერთიდან ორ საათამდე. პირმა ან ორგანომ, რომლის ხელთაა საქმის წარმოება, ნახვის უფლება შეიძლება დართოს, როგორც წესი, მხოლოდ ერთხელ თვეში.

იმ მომენტიდან, როცა საქმეში მონაწილეობს დამცველი, ოჯახ-დაზისტორებულია იმ პირის ან ორგანოს წერილობითი ცნობით, რომლის ხელთაა საქმის წარმოება, დაპატიმრებულთ აქვთ დამცველის ჯანმრთელობით ნახვის უფლება ნახვის რიცხვისა და ხანგრძლივობის განუსაზღვრელად.

მუხლი 13. დაპატიმრებულთა მიმოწერა და საჩივრების, განცხადებებისა და წერილების გაგზავნის წესი

დაპატიმრებულთ შეუძლიათ მიმოწერა აქონდეთ ნათესავებთან და სხვა მოკალაქეებთან იმ პირის ან ორგანოს ნებართვით, რომლის ხელთაა საქმის წარმოება.

დაპატიმრებულთა საჩივრებს, განცხადებებსა და წერილებს ამოწმებს წინასწარი პატიმრობის ადგილის ადმინისტრაცია. პროკურორისათვის გაგზავნილი საჩივრები, განცხადებები და წერილები არ მოწმდება და დანიშნულებისამებრ იგზავნება მათი შეტანის დროიდან ერთი დღე-ღამის განმავლობაში.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად საჩივრებს მოკვლევის მწარმოებელი პირის, ან გამომძიებლის მოქმედების გამო წინასწარი პატიმრობის ადგილის ადმინისტრაციისა უფროსის, ან პროკურორის შეტანის დროიდან არა უგვიანეს სამი დღე-ღამის განმავლობაში, ხოლო საჩივრებს პროკურორის მოქმედებისა და გადწყვეტილებათა გამო — ზემდგომ პროკურორს.

სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან დაკავშირებულ სხვა საჩივრებს, განცხადებებსა და წერილებს შეტანის დროიდან არა უგვიანეს სამი დღე-ღამის განმავლობაში წინასწარი პატიმრობის ადგილის ადმინისტრაცია უგზავნის იმ პირს ან ორგანოს, რომლის ხელთაა საქმის წარმოება. მათ სისწორეს ეს პირი ან ორგანო და მიღების დროიდან არა უგვიანეს სამი დღე-ღამის განმავლობაში გზავნის დანიშნულებისამებრ. საჩივრები, განცხადებები და წერილები, რომელიც შეიცავენ ცნობებს, რომელთა შეტყობინებამ შეიძლება ხელი შეუშალოს ჩეშმარიტების დადგენას სისხლის სამართლის საქმის გამო, დანიშნულებისამებრ არ იგზავნება, რაც ეცნობება დაპატიმრებულს. ავრეთვე პროკურორს.

საჩივრებს, განცხადებებსა და წერილებს საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებული არ არის საქმის წარმოებასთან, შესაბამისად ახლლეს წინასწარი პატიმრობის ადგილის ადმინისტრაცია ან იგზავნება დანიშნულებისამებრ კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 14. დაპატიმრებულთა მიმართ ნახალისების ღონისძიებების გამოყენება

დაპატიმრებულთა მიმართ, თუ ისინი სანიმუშოდ იქცევიან, წინასწარი პატიმრობის ადგილის ადმინისტრაციის შეუძლია გამოიყენოს შემდეგი ნახალისების ღონისძიებანი:

მაღლობის გამოცხადება;

ადრე დადებული სასჯელის ვადაზე მოსნა;

სეირნობის ხანგრძლივობის გადიდება.

მუხლი 15. სასჯელის ზომები, რომლებსაც იყენებენ დაპატიმრებულთა მიმართ

დაპატიმრებულთა მიმართ, რომლებიც არღვევენ რეჟიმის მოთხოვნებს, შეიძლება წინასწარი პატიმრობის ადგილის ადმინისტრაციამ გამოიყენოს სასჯელის ზომები:

გაფრთხილება ან საყვედური;

რიგგარეშე მორიგეობა სათავსის ლაგებისათვის;

კვების პროდუქტების ყიდვისა და მორთვა ამანათის ან გადაცემის მიღების უფლების ჩამორთმევა ერთი თვის განმავლობაში.

დაპატიმრებულნი, რომლებიც მორჩილად არღვევენ კანონს მოთხოვნებს, წინასწარი პატიმრობის ადგილის უფროსის დასაბუთებული დადგენილებით შეიძლება მოთავსდნენ კარცერში ათი დღე-ღამის ვადით, არასრულწლოვანებენ — ხუთ დღე-ღამემდე ვადით. ორსული ქალები და ქალები, რომლებსაც თან შვილები ყავთ, კარცერში არ მოთავსდებიან.

დაპატიმრებულთა მიმართ სასჯელის ზომაში უნდა შეესაბამებოდეს გადაცდომის სიმძიმესა და ხასიათს. არ შეიძლება ისეთი ღონისძიებების გამოყენება, რომელთა მიუხედავ დაპატიმრებულ პირთათვის ფიზიკური ტანჯვის მიყენება, ან ადამიანური ღირსების შელახვა.

მუხლი 16. დაპატიმრებულთა მატერიალური პასუხისმგებლობა

დაპატიმრებულნი მატერიალურ პასუხს ადგენენ წინასწარი პატიმრობის ადგილებში ყოფნის დროს სახელმწიფოსათვის მატერიალური ზარალის მიყენებისათვის იმ ოდენობით, რომელიც დაპატიმრებული პირის ან მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა ადგენს.

ზარალ წინასწარი პატიმრობის ადგილის უფროსის დადგენილებით ანგარიშობენ იმ ფულადი თანხიდან, რომელიც დაპატიმრებულ პირს პირად ანგარიშზეა. თუ წინასწარი პატიმრობის ადგილას ყოფნის დროს დაპატიმრებული ვერ აანაზღაურებს ზარალს იმის გამო, რომ მას მიესაჯა სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით, შრომა-გასწორების დაწესებულების ადმინისტრაციას შეუძლია გადაახდევინოს ასეთი იმ სახსრებიდან, რომლებიც მსჯავრდებულს პირად ანგარიშზე შემოვიდა.

აღკვეთის ღონისძიების გაუქმებას ან შეცვლას შემთხვევაში ბანკებს, ადგილობრივ ან მსჯავრდებულს პირად ანგარიშზე შემოვიდა.

მუხლი 17. უმშრომელობის ღონისძიებანი და იარაღის გამოყენების საფუძვლები

დაპატიმრებულთა მიმართ, თუ ისინი წინასწარი პატიმრობის ადგილებს მუშაობენ, უფლებენ ფიზიკურ წინააღმდეგობას, შმაგობენ ან სჩადიან სხვა ძალადობრივ მოქმედებას, იმისათვის, რომ ამ ყოფთ ან პირადად მას თავიდან აიცილონ ზიანი შეიძლება ხელმძღვანელ ან დამაწუხარებელი პერანგის გამოყენება.

თუ დაპატიმრებული პირი თავს დაესხმება ან ჩაიდგენს სხვა განზრახ მოქმედებას, რომელიც უშუალოდ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას ეს ეს ადგილს მუშაობა ან სხვა პირთა სიცოცხლეს, ავრეთვე მკვლელობისგან გაქცევის დროს, როგორც გამონაკლისი ღონისძიება დასაშვებია იარაღის გამოყენება, თუ სხვა ზომებით შეუძლებელია ფიზიკურ მოქმედების აღკვეთა. ქალებისა და არასრულწლოვანების მკვლელობისგან გაქცევის დროს იარაღის გამოყენება დაუშვებელია.

წინასწარი პატიმრობის ადგილების ადმინისტრაციამ იარაღის გამოყენების თითოეული შემთხვევა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს პროკურორს.

მუხლი 18. იმ პირთა განთავისუფლების საფუძვლები, რომელთა მიმართ აღკვეთის ღონისძიებად გამოყენებულია დაპატიმრება

დაპატიმრებულთა განთავისუფლების საფუძვლებია:

1) აღკვეთის ღონისძიების გაუქმება;

2) აღკვეთის ღონისძიების შეცვლა;

3) აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის კანონით დადგენილი ვადის გასვლა, თუ ეს ვადა არ არის გაგრძელებული კანონით დადგენილი წესით. წინასწარი პატიმრობის ადგილის უფროსი მოვალეა არაუგვიანეს შვიდი დღე-ღამისა პატიმრობის ვადის გასვლიდან წერილობით აცნობოს ეს პირს, ან ორგანოს, რომლის ხელთაა საქმის წარმოება, ავრეთვე პროკურორს, რომელიც ზედამხედველობას ახორციელებს ადგილობრივების დაცვის საფუძველზე.

მუხლი 19. პროკურორის ზედამხედველობა წინასწარი პატიმრობის ადგილებში კანონიერების დაცვისათვის.

წინასწარი პატიმრობის ადგილებში კანონიერების დაცვისათვის ზედამხედველობას ახორციელებენ სსრ კავშირის გენერალური პროკურორი და მისი ხელქვეითი პროკურორები სსრ კავშირის საპროკურორო ზედამხედველობის კანონმდებლობის შესაბამისად.

ერთიანობა — ეროვნული ინტერესებისა

ამ შემთხვევაში, რომელსაც ეთ. ... ბინად პროკურორის დადგენილებით, რომელიც ახორციელებს ზედამხედველობას კანონიერების დაცვასა ... ადგილებში.

დაპატიმრებულის განთავისუფლების შესახებ დადგენილება, კანონები და გახმინება დაუყოვნებლივ უნდა შესრულდეს, როგორც ეს იგი მივა წინასწარი პატიმრობის ადგილას.

პატიმრობიდან განთავისუფლებულ პირებს წინასწარი პატიმრობის ადგილის ადმინისტრაცია უფლებენ ეყოთს უფასო მგზავრობით საცხოვრებელ ადგილამდე. საჭიროების შემთხვევაში მათ აძლევენ ფულად დახმარებასა და ტანსაცმელს.

მუხლი 19. პროკურორის ზედამხედველობა წინასწარი პატიმრობის ადგილებში კანონიერების დაცვისათვის.

წინასწარი პატიმრობის ადგილებში კანონიერების დაცვისათვის ზედამხედველობას ახორციელებენ სსრ კავშირის გენერალური პროკურორი და მისი ხელქვეითი პროკურორები სსრ კავშირის საპროკურორო ზედამხედველობის კანონმდებლობის შესაბამისად.

როგორ ვემზადებით ახალი სასწავლო წლისათვის?

არც ერთი სკოლა ცუდ შენობაში!

ორჯონიკიძის რაიონში სკოლების მატერიალური ბაზით განმტკიცებას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ბოლო წლებში. შენდა კიცხის სკოლა-ინტერნატის, წყალაფორეთის, ფარცხნალის რვაწლიანი, ვახანის საშუალო სკოლების კეთილმოწყობილი შენობები. დაბა ორჯონიკიძის პირველი და ბორითის საშუალო სკოლების შენობები მთლიანად შეიცვალა დაშენება-მოშენებით. ასევე მოხდა მოლითის, ზვარის, წიფის საშუალო და ბაზალეთის რვაწლიან სკოლებში, ქუთაისის ს. ორჯონიკიძის საბჭოლობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა დაუწყებითი სკოლის კარგი შენობა აუგო თავის საშეფო სოფელს ღორეშას. აქვე საბავშვო ბაღს აშენებს ფოთის ს. ორჯონიკიძის სახელობის გემთშემკეთებელი ქარხანა.

განათლების სამინისტროს თანხებით მთავრდება ხეკის საშუალო სკოლის მშენებლობა. უნდა აშენდეს საშუალო სკოლის ტიპური შენობა სოფელ ლეღვანში.

ნადაბურის, ხუნევის, ლაშის კოლმეურნეობები ეხმარებიან სკოლებს მატერიალური ბაზის განმტკიცებაში. დაწყებით სკოლას აშენებს ნებმირის კოლმეურნეობა.

მაგრამ საქარიკიძის, გორის, წიფის, საბის, ჩორითის დაწყებითი, სარგვეშის, ვაშლეების, ქვების, უბისის რვაწლიანი, ვარანის, წიფის საშუალო სკოლები ცუდ შენობებშია. მოლითის საბავშვო ბაღი დაპირავებულ ბინაშია და სხვ.

რაიონის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული. სამეურნეო ორგანიზაციებისა და განათლების მუშაკებმა ახლახან გულდასმით იმსჯელეს ახალი სასწავლო წლის სანიმუშოდ მომზადებისათვის, აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი, იკისრეს ახალი ვალდებულებანი, გააჩაღეს შეჯიბრება სკოლებზე ზრუნვისათვის.

კიცხის, ხუნევის, ლაბუნდარის, ლაშის კოლმეურნეობები განათლების განყოფილებიდან მიეცემული თანხით, თავიანთი მასალებითა და შრომითი მონაწილეობით დაამთავრებენ საქარიქიდის, ბორის, გედსამანიის, ხუნევის და ლაშის დაწყებითი სკოლების მშენებლობას. ლეღვნისა და მარეულის კოლმეურნეობები მოხრეშავენ ლეღვნის საშუალო სკოლამდე მისასვლელ სამანქანო გზას. მშენებლობას უზრუნველყოფენ მუშახელით, წყლითა და ელექტროენერგიით.

მარეულის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის კოლექტივი საფუძვლიანად შეაკეთებს და ინვენტარით უზრუნველყოფს ფაბრიკის ტერიტორიაზე არსებულ სკოლებსა და სბავშვო დაწესებულებებს. რაიკომკავშირის გამგეობამ შეფობა აიღო დაბა ორჯონიკიძის პირველ საშუალო სკოლაზე, ეხმარება მას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებაში. ზვარის მინერალური წყლის ჩამომხმელი ქარხანის კოლექტივი შეფობას უწევს ზვარისა და ჩრდილის სკოლებს. სასწავლო წლისათვის სანიმუშოდ მომზადებაში.

ორჯონიკიძელებმა უთუოდ კარგი ვალდებულებები იკისრეს. ისინი უკვე შეუდგნენ საქმეს. ეჰვი არ არის, რომ სიტყვას არ გატეხენ — ვალდებულებებს ქაღალდზე არ დატოვებენ, სკოლებზე შეუნელებელი ზრუნვით ყოველმხრივ მოემზადებიან ახალი სასწავლო წლისათვის.

პ. ჟიოკაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

გაეკაუჰოგესოთ მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება

15 იგლისს თბილისში მუშაობა დაიწყო მედიცინის მუშაკთა რესპუბლიკურმა თათბირმა. იგი გაიხილავს საქართველოს მოსახლეობის სტაციონარული მომსახურების მდგომარეობას, აგრეთვე ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებს.

თათბირი შესაძლოა სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ლ. საყვარელიძემ.

მოხსენება „რესპუბლიკის მოსახლეობის სტაციონარული მომსახურების მდგომარეობა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი“ გააკეთა რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ ლ. ქავთარაძემ.

მოხსენებელმა აღნიშნა მნიშვნელოვანი წარმატებანი, რომლებსაც საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებმა მიაღწიეს დაავადებათა პროფილაქტიკისა და მკურნალობის დარგში. უმჯობესდება ჯანმრთელობის სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მარტო ორი უკანასკნელი წლის მანძილზე ორი უკეთესი წლის მანძილზე ორი ახალი სამედიცინო ინსტიტუტის ჰისტოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი თ. დეკანოსიძე, თბილისის პირველი საქალაქო საავადმყოფოს მთავარი ექიმი ვ. მაღრაძე, ქუთაისის საქალაქო საავადმყოფოს მთავარი ექიმი ა. ძოწენიძე, ზესტაფონის რაიონის მთავარი ექიმი ი. ხელაძე, ხაშურის რაიონის მთავარი ექიმი ლ. ღამბაშიძე, თბილისის მე-8 საქალაქო საავადმყოფოს უფროსი მედიცინის დაგ. მისტრალე, ფოთის ბავშვთა საავადმყოფოს მთავარი ექიმი ვ. ვეაუა და სხვები.

თათბირის მონაწილეებმა მიიღეს შიმართვა საქართველოს „ეკონ. მედიცინის მუშაკისადმი, რომელშიც მოუწოდებენ ღირსეულად შეხვდნენ ვლადიმერ ილიასძე ლენინის დაბადების 100 წლისთავს, ყოველი ღონე იხმარონ საქართველოს მშრომელთა სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის. (საქდისი).

საუკეთესო ცხოვრება

განიცხილავენ დიდმნიშვნელოვან ამოცანებს

პრაღა, 15 ივლისი. (საქდისი). ჩეხოსლოვაკიის ქალაქებში კვლავ იმართება პარტიული აქტივის კრებები, რომლებზეც კომუნისტები იხილავენ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების კონკრეტულ ღონისძიებებს.

პარტიული აქტივის დიდი კრება გაიმართა პრაღაში. აქ გამოკიდნენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჩეხიის ოლქებში პარტიული მუშაობის სახელმძღვანელო ბიუროს თავმჯდომარე ლ. შტროუგალი და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი და ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ბილიაკი. მიღებულ რეზოლუციაში კრების მონაწილეებმა საგანგებო დაუშვირეს მხარი პოლიტიკურ ხაზს, რომელიც ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპრილისა და მაისის პლენუმებმა შეიმუშავეს, და ხაზგასმით აღნიშნეს, რომ პრაღელ კომუნისტებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი იბრძოლონ ნაციონალიზმისა და ანტისაბჭოურობის, მემარჯვენე ოპორტუნიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ, სოციალიზმისადმი მტრული სხვა ძალების წინააღმდეგ.

ქალაქ ბრნოში გამართულ კრებაზე კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის საერთაშორისო თათბირის შედეგების შესახებ მოხსენება გააკეთა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა და ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. ბილიაკმა. კრების მონაწილეებმა მიიღეს განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ „ბრნოს პარტიული ორგანიზაციის კომუნისტებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი იბრძოლონ ნაციონალიზმისა და ანტისაბჭოურობის, მემარჯვენე ოპორტუნიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ, სოციალიზმისადმი მტრული ძალების წინააღმდეგ. ვარწმუნებთ ჩვენს ცენტრალურ კომიტეტს, რომ პარტიის ყველა პირველადი ორგანიზაცია მხარს უჭერს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის პოლიტიკას, რომელიც გამოხატულია ცენტრალური კომიტეტის აპრილისა და მაისის პლენუმების გადაწყვეტილებებში“.

დარბაზის ტაშის გრიალში ბრნოს კომუნისტებმა მიიღეს წერილი ოლომოუცში მყოფი საბჭოთა ჯარის ნაწილისადმი. წერილში გულითად მადლობას უძღვნიან საბჭოთა არმიას დახმარებისათვის, რომელიც ჩეხოსლოვაკიელ კომუნისტებს გაუწია ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში კონტრრევოლუციური გადატრიალების სუფთხის აღსაკვეთად.

კარვინის 1 მაისის სახელობის შახტის კომუნისტთა კრებაზე ჩავიდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ლენარტი. მან ილაპარაკა პარტიის იმ უმნიშვნელოვანეს ამოცანებზე, რომლებიც ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმების გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობენ. კრებაზე მიღებულ რეზოლუციაში კომუნისტმა მუშახტელებმა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და ჩეხოსლოვაკიის მთავრობას აღუთქვეს, რომ ყოველ ღონეს იხმარენ, რათა ღირსეულად გადაწყვეტონ მათ წინაშე მდგომი ამოცანები.

ბრატისლავაში გაიმართა პარტიის საოლქო კომიტეტებისა და რაიკომების მდივანთა ორი დღის თათბირი იდეოლოგიური მუშაობის საკითხებზე. მოხსენება გააკეთა სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. გრაცამ. მან ილაპარაკა მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპულ საფუძვლებზე პარტიის გაერთიანების პრობლემების შესახებ. საბოლოო მშენებლობისა და სახალგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში პარტიის ხელმძღვანელი როლის შემდგომი განმტკიცების გზების, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მომუშავე კომუნისტების განსაკუთრებული პასუხისმგებლობის შესახებ.

პარტიული აქტივის კრებებთან ერთად მიმდინარეობს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის სოლქო და საქალაქო კომიტეტების სხდომები. პარტიის პლენუმის საქალაქო კომიტეტს გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ ქალაქის კომუნისტებს თავიანთ მთავარ ამოცანად მიაჩნიათ გააქტიურონ პარტიისა და საზოგადოების მთელი ეანსაღი ძალები. დარაზმონ ისინი პარტიის წინაშე მდგომი ამოცანების გადასაწყვეტად.

გაიმართა ავრეთვე ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ჩრდილოეთ ჩეხიისა და სამხრეთ ჩეხიის საოლქო კომიტეტების პლენუმები. მომხსენებლებმა და კამათის მონაწილეებმა ილაპარაკეს იმ კონკრეტულ ღონისძიებებზე, რომელთა მიზანია ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა რაც შეიძლება სწრაფად განხორციელება.

საბჭოთა მსახიობების წარმატება

ჰანოი, 15 ივლისი. (საქდისი). დემოკრატიულ ვიეტნამში დიდი წარმატებით მიმდინარეობს საბჭოთა მსახიობების ჯგუფის გასტროლები. ჯგუფის შემადგენლობაში არიან მომღერლები, აკრობატები, მუსიკოსები, ორიგინალური ჟანრის ოსტატები.

მსახიობები გამოდიან მერაკეტეთა პოზიციებზე, საკონცერტო დარბაზებში, ქარხნების საამქროებში, სტუდენტთა კლუბების სცენებზე.

ძლგომარეობა იტალიაში

რომი, 15 ივლისი. საკდისის კორესპონდენტი ი. ლოპატინი გვაცნობინებს:

იტალია კვლავ განიცდის მთავრობის კრიზისს. მ. რუმორი განაგრძობს კონსულტაციებს, რომელნიც სულ ცოტა ხუთშაბათამდე გაგრძელდება, რადგან მხოლოდ ხვალ გაიმართება ათალი უნიტარული სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობის სხდომა. ამ სხდომამ საბოლოოდ უნდა განსაზღვროს უნიტარული სოციალისტური პარტიის პოზიცია ახალი მთავრობის საკითხში. ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობის გუშინდელ სხდომას, რომელშიც მ. რუმორი მონაწილეობდა, არ მიუღია რაიმე ახალი გადაწყვეტილება და მხოლოდ დაადასტურა ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ცნობილი პოზიცია, რომელიც მოითხოვს „მემარცხენე ცენტრის“ მთავრობის კოალიციის აღდგენას და უარყოფს მხოლოდ ქრისტიანულ დემოკრატებისაგან „ერთფეროვანი“ მთავრობის შექმნას და პარლამენტის ვადამდე არჩევნების მოწყობას.

ჯილდოები კოსმოსის დამპყრობთ

ჰელსინკი, 14 ივლისი. (საკდისი). აქ საბჭოთა ელჩობაში გაიხსნა სამრთამორისო საავიაციო ფედერაციის (ფაი) 62-მ გენერალური კონფერენციაა. ჰელსინკის გარეუბან ოტანიემში შეიკრიბნენ მსოფლიოს 32 ქვეყნისა და საერთაშორისო ორგანიზაციების დელეგაციები. კონფერენციაზე ჩამოვიდა საბჭოთა დელეგაცია სამგზის საბჭოთა კავშირის გმირის გენერალ-ლეიტენანტ ი. ნ. კოჟედუბის მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში არიან საბჭოთა კავშირის გმირი კოსმონავტი მაორი გენერალ-მაიორი ბ. ბ. ბერეგოვოი, ფაის ვიცე-პრეზიდენტი, საპარაშუტო სპორტის საერთაშორისო კომიტეტის პრეზიდენტი ი. ი. ლისოვი და სხვები.

კონფერენციაზე ჩამოვიდა ამერიკელი კოსმონავტი, „აპოლონ-10“ ეკიპაჟის წევრი ი. სერნანი.

საპატიო სტუმრად შორის არის ფინეთის პრეზიდენტი ურხო კეკონენი. იმასთან დაკავშირებით, რომ წელს 50 წელი უსრულდება ფინეთის საავიაციო ასოციაციას, ფაის წევრს, მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ასოციაციის პრეზიდენტმა, ფაის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა პროფესორმა ედვარდ მიზეელინამ.

კონფერენციაზე ჩამოვიდა ფაის პრეზიდუმის აწარმოებს წინასწარი პატიმრობის ადგილის უფროსი იმ პირის დადგენილების საფუძველზე. რომელიც ახორციელებს მოკვლევას, გამომძიებელს, პროკურორსა და სასამართლოს.

ადგილობრივ ან ოლქის ... ...

ჩვენს აჩე-მაჩეში

მუსიკალური კონკურსის შედეგები

შეჯამდა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საუკეთესო კამერულ-ინსტრუმენტალური ნაწარმოებთა დახვრეული კონკურსის შედეგები. ეს კონკურსი გამოაცხადა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირმა.

პირველი პრემია ჟიურის არავისთვის არ მიუნიჭებია.

მეორე პრემია მიენიჭათ კომპოზიტორებს: რ. ქარუხნიშვილს, ნონეტისათვის დაწერილი „ტრიპტიხისთვის"; ვ. აზარაშვილს ვიოლონჩელისა და ფორტეპიანოსათვის დაწერილი პოემისათვის.

მესამე პრემია მოიპოვეს კომპოზიტორებმა: ე. სანაძემ კამერული ორკესტრისათვის დაწერილი ნაწარმოებისათვის „გრაფე", რ. კიმულაჩიამ ვიოლინისა და ფორტეპიანოსათვის დაწერილი „ფანტაზიისათვის" და ტ. ბაქრაძემ საფორტეპიანო ნაწარმოებისათვის „სვანური ჩახახატები".

ყველა ეს ნაწარმოები შესრულდება იუბილეს დღეებში. (საქდისი).

გმირთა ხსოვნის ობელისკი

რუსთავი. (საქ. კორ.). ტურისტულმა კლუბმა „ორბიტამ", რომელიც ამას წინათ ჩამოყალიბდა მეტალურგიულ ქარხანასთან, საინტერესო ლაშქრობა მოაწყო იმ ადგილებში, რომლებიც ბრძოლითა და დიდებით განვლო ცნობილმა მე-11 არმიამ.

მარშრუტი ასეთი იყო. ვაშლოვანი-ყოჯორი-ქოროღლის ციხე. ტურისტებმა რუსთავიდან წაიღეს ლითონისაგან ჩამოსხმული სახელდახელო ობელისკი, რომელიც ქოროღლის ციხესთან აღმართეს. ობელისკზე გამოკვეთილია წითელარმიელი ხმლით ხელში, ბოლოში კი ასეთი წარწერაა „მე-11 არმიის მოსაგონრად — რუსთაველი მეტალურგებისაგან".

გაიმართა მიტინგი, რომელზეც მოგონებებით გამოვიდნენ ძველი ბოლშევიკი ნ. კილასონია, დოცენტი შ. ცაგარეიშვილი და სხვ.

„ნაციონალი" — ჩვენი სტუმარი

თბილისს ეწვია ურუგვაის ფეხბურთელთა ალიარებული საკლუბო გუნდი „ნასიონალი". ინტერესი სტუმართა დღევანდელი მატჩისადმი დინამოელთა წინააღმდეგ უთუოდ დიდია. გუშინ ურუგვაელმა ფეხბურთელებმა „ლოკომოტივის" სტადიონზე მოაწყეს წვრთნა, გვიჩვენეს თავიანთი ოსტატობა.

ურუგვაიანი ფეხბურთი სპორტის № 1 სახეობაა. ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრები ორჯერ იყო მსოფლიოსა და ამდენჯერვე ოლიმპიური ჩემპიონი. ურუგვაის ნაკრები ძირითადად ორი საკლუბო გუნდის — „პენიაროლისა" და „ნასიონალის" მოთამაშეებით არის დაკომპლექტებული.

სწორედ ეს გუნდები [illegible] მთავარი მეტოქეები თავიანთ ქვეყნის პირველობის გათამაშებაში და მეტწილად ჩემპიონებიც ისინი არიან. ურუგვაის ნაკრები წარმატებით გამოდის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრებში. იგი მეთორმეტე ჯგუფის ლიდერია (მოუგო ეკვადორის გუნდს 2:0 და ფრედ — 0:0 დაამთავრა შეხვედრა ჩილეს ფეხბურთელებთან).

წელს ჩვენმა სტუმრებმა მონტევიდეოში გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირში (სხვებთან ერთად მონაწილეობდა მოსკოვის „ტორპედო") პირველი ადგილი დაიკავეს. გადამწყვეტ მატჩში მათ [illegible] — „ბენიაროლი" 3:1. სანამ „ნასიონალი" [illegible] ეს ერთ-ერთი [illegible] ტურნირებიდან, სადაც დაამარცხა ამ ქვეყნის უმაღლესი ლიგის გუნდი — „ჰანზა" 2:1, ხოლო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეორე ნაკრებთან შეხვედრა ფრედ — 0:0 დაამთავრა.

მაშ ასე, დაველოდოთ დღევანდელ დიდ ფეხბურთს — მონტევიდეოს „ნასიონალისა" და თბილისის „დინამოს" მატჩს.

• • •

სურათზე: მონტევიდეოს „ნასიონალის" ფეხბურთელთა ერთი ჯგუფი.

ფოტო შ. ზარგარიანისა.



... ეროვნული ... ბურთი

[illegible] — „ბენიაროლი" — „ნასიონალი" [illegible] ... ეროვნული ... ბურთი [illegible] ... ეროვნული ... ბურთი [illegible] ... ეროვნული ... ბურთი